სამშობლო

კვირა
8 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს, ვინც ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ტექსტის პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დებეტდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 218 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 218

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი **„სამშობლო“**

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

დავით კოზმანის ძე ქველაძე, ანასტასია ზურაბის ასული ქველაძისა, მარიამ და რებეკა კოზმანის ასულნი კაპანაძეებისა, დეკანოზი ტიმოთე გრიგოლის ძე კაპანაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, რომ ხუთ ამ ნოემბერს გარდაიცვალა

მღვდელი კოზმან სიმონის მე ქველაძე,

რომლის გამოსვენებაც დანიშნულია რვა ამავე თვის, დღით კვირას, დილის ცხრა საათზე დეკანოზ ტიმოთე კაპანაძის სახლიდან ორპირის ქუჩაზე, პეტრე-პავლეს ეკლესიაში, საიდანაც, წირვისა და წესის აგების შემდეგ წაასვენებენ ოლასკურის სასაფლაოზე დასაკრძალავათ.

1-1-5077

გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია და ასოთ-ამწყობები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას უდროოთ გარდაცვალებას დაუღალავის მებრძოლისა და ნიჭიერი ბელეტრისტის

ბიკენტი (ჭოლა) ლოლათათიძის—მცირიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გარდაიცვალა იგი უცხო მხარეს (სარატოვში) უცხოთა შორის, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი არ დაივიწყებს მის ჭირნახულობას. მუდამ ამოვა და მის გაყინულ, მიტოვებულ საფლავს შარავანდედით შეამკობს.

1915 წ.
ნოემბერი
8
კვირა

ანონსი:

მზადდება

გორკის—„მტრები“, ყიფიანის—„სამეგრელოს მთავარი ლევონ“, ჰანტურიშვილის—„ბურუსი“.

„ქართული დრამა“. № 19
ქალაქის თეატრი.

დანიშნულია წარმოდგენა სადამოს 8 საათზე

მეშკვიდრე პრინცი

5 მოქმ.

მეიერი—მთარგმნილი გ. აბაკელია.

მონაწილეობს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **შალვა დადიანი.**

ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 1—1

კვირას, 8 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ელექტრო-თეატრ „რადიუმში“,

დანიშნულია

ქუთაისის მომხმარებელთა საზოგადოების „კოოპერაციის“ წევრთა საზოგადო კრება.

კრებაზე დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც (**უფ.**)

ექიმი **ი. ჩარეიძეი** ქალაქ. საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მგელაძე—ბალიცკისა
დებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ს. ფორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**
ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ბეგია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყავილებს და ყოველგვარ სახის ავათყმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძე** ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი
ორშაბათიდან, 9 ნოემბრიდან ახალი საუცხოვო პროგრამა.
გოგმოანის ძროანიკა. მიმდინარე ამბები.

ანია

ე. ნაგროდსკოის რომანიდან დრამა 4 ნაწილათ.

კომიკური სურათი **პრენსის დავლა** **კომიკური სურათი**

ანონსი: ხუთშაბათიდან, 12 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება **მილიონერის ბიპკოზიზ ბავლენის ძველ.** მე-15 ტე სერია.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან,

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოღობერიძე.**

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

„რუსკ. ვედ.“ დეპეშით ატყობინებენ: ვენიზელოსმა განუცხადა ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლებს, რომ საკითხი,—მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას მისი მომხრეები—ჯერ საბოლოოთ გადაწყვეტილი არ არისო; თვითონ კი არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგია.

——

„რუსკ. სლოვოს“ ცნობით, ათინაში მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ოთხთა შეთანხმების წარმომადგენლები ინსტრუკციას ელიან, რომ საბერძნეთის მთავრობას კოლეკტიური წინაღადება მისცენ, რომ წინააღმდეგობა არ გაუწიონ და ხელი არ შეახლონ სერბიისა და ინგლისს—საფრანგეთის ჯარს, თუ უკეთუ იგი იძულებული გახდა საბერძნეთის ტერიტორიისკენ დაიხიოს. ფიქრობენ, რომ დენი-კოშენის მისვლა ათინაში დიდ გავლენას იქონიებს საბერძნეთის მთავრობაზე და ხელს შეუწყობს ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ საკითხის გადაწყვეტას.

——

პეტროგრადში მყოფმა სერბიის მისიამ პაშიჩისაგან დეპეში მიიღო სერბიელებისა და საფრანგეთის ჯარის შეერთების შესახებ პრიდებთან. სერბიელებმა ბულგარეთის ჯარის ნაწილი უკუაქციეს ნიშის რაიონში.

——

„რეჩი“ სწერს: პირველათ მტერმა თავის ძალა მოიტანა ჩარტორიისკ კოლკის ფრონტზე, ხოლო ახლა ბრძოლის ცენტრი გადავიდა ამ ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში. მტერი იძულებულია რკინის ახლოს დაბანაკდეს მძიმე არტილერიის გადასაზიდავათ. მოპირდაპირე განსაკუთრებით ავითარებს თავის სამხედრო მოქმედებას ცმინისა და ხრიასკის რაიონში და ამავე დროს ცდილობს ხელში ჩაიგდოს მდ. სტრიის ფონები.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინებიან: იტალიამ გადასწყვიტა ომი გამოუცხადოს გერმანეთს, თუ დამტკიცდა, რომ „ანკონა“ მისმა წყალქვეშა ნავმა დაღუპაო.

——

„რუსკ. ინვალ.“ სწერს: კემერნის მხრით იმდენათ მივუახლოვდით ვინდავა—მიტავის რკინის გზას, რომ შესაძლებელია მტერმა მასზე მუშაობა სრულებით შესწყვიტოსო. მიტავასა და მის მიდამოებს მტერი საჩქაროთ სცლის. გადააქვთ ამუნიციის დიდი საწყობები და აგრეთვე განძეულობა. დვინსკის პოზიციის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე ბრძოლა წინანდებური სისასტიკით სწარმოებს. კოველარნის რკინის გზის გასწვრივ აგრეთვეს გაცხარებული ბრძოლაა. საერთოდ მდგომარეობა ისე გართულდა, რომ ძნელი გამოსაცნობია, თუ რა გზას დაადგება ახლო მომავალში გერმანეთის მთავარი ბინა.

ქრონიკა

რუსეთი.

ბადმოხვეწილთა დახმარება.

31 ოკტომბრის სხდომაზე გადახვეწილთა დამხმარე განსაკუთრებულმა თათბირმა გადასწყვიტა გადაცეს: 1) 460000 თ. სრულიათ რუსეთის ერობათა კავშირს სამხრეთ დასავლეთის ფრონტის კომიტეტს გადმოხვეწილთა დასახმარებლათ და ერთდროული ხარჯებისათვის. 2) სრულიად რუსეთისქალაქ. კავშირის კომიტეტს 4,467,759 მან. მიუცილებელი ხარჯების დასაფარავად და 3) 1,500,000 პოლონეთის ცენტრალურ საობივატელო კომიტეტს.

„ვეჩერნეე ვრემიას“ რედაქტორის საქმე.

პეტროგრადის საოლქო სასამართლომ ცილის წამებისათვის სუვორინს, სასჯ. დებულ. 1535 მუხლის ძალით ორი თვის ციხე გადაუწყვიტა „და იძულებულ-ყო დაებეჭდა სასამართლოს განაჩენი თავისავე გაზეთში.

სუვორინმა 4 სექტემბრის თარიღით 1914 წლ. წერილი მოათავსა ამ სათაურით: „გერმანელების საზიზღრობა ახალ სარატოვის „ახალშენში“. წერილში მოხსენებული იყო, ვითომც ახალშენის ნემცები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიერათ ეპყრობოდენ რუს მცხოვრებლებს.

მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ ამის მგზავსი მათ შორის არაფერი არსებობდაო.

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზით, გუშინდელ დეპეშის ცნობით საერთოდ ცვლილება არ მომხდარა. როგორც ეტყობა ჩარტორიისკის რაიონში ბრძოლა ფართოვდება, იმავე დეპეშის ცნობით, კოველ-სარნის რკინის გზის შიმართულებით ავსტრიელებს იერიში მოუქვთ ს. მედვეჟიედან სოფ. ნოვია პოდჩერიეის წინააღმდეგ. მაშასადამე, აქაც ავსტრიელების ჯარს წინ წამოუწევია. პადრეგჩი რაფალოვკას სამხრეთ-დასავლეთით 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს, სტირის ნაპირამდე სულ $1^1/_2$ ვერსია. ამ რიგად მდ. სტირის მარცხენა ნაპირით ბრძოლა ამ ჟამად თითქმის ოცი ვერსის სიგრძით სწარმოვებს; ეს უკვე კარგა მოზრდილი ბრძოლის პირია და ორივე მხრით საკმაოდ დიდი ძალები იღებენ მონაწილეობას. ცნობები არ არის მდ. სტირზე გადალახვის შესახებ, მაშასადამე, ბრძოლა უმთავრესად ხიდების წართმევადაცვაში გამოიხატება. ჩარტორიისკი-სარნიდერაენოს სამკუთხედი იმდენად ჭაობიან არ არის მოფენილი და აქ საკმაოდ დიდი ძალებით შეიძლება მოქმედება. მაშასადამე, თუ ავსტრიელები მდ. სტირზე გადასვლას მოახერხებენ, აღნიშნულ სამკუთხედით დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს სამკუთხედი ერთის მხრით მეტად მნიშვნელოვან სადგურს სარნის, და მეორეს მხრით როვნოს რაიონს ჩრდილოეთის მხრით ჰფარავს. სწორედ ამიტომ სამხედრო ავტორიტეტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებენ რაფალოვკა-ჩარტორიისკის ხაზს. ავსტრიელები ამ ჟამად სწორედ ამ ხაზის წინააღმდეგ მოქმედებენ. ამ ოპერაციაზეა დამოკიდებული მთელი ასპარეზის სამხრეთი ნაწილის ბედი. (ს. ფ.)

ქართული პრესა.

ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის შესახებ გაზეთი „საქართველო“ სწერს:

ქალაქი თავის ნებით დიდის უფლებით შეიმოსა. იგი თავის თავსაც კანონს უწერს და სოფელსაც. ერთსა და მეორე შემთხვევაში იგი თავის თავს ჰრგებს; მას საკუთარი ინტერესი აქვს და შეძლების ფარგლებში იცავს კიდეც ამ ინტერესს. ქალაქის მოვაჭრე, როგორც გამყიდველი, ცდილობს ნიხრ-აწევით გაჰყიდოს თავისი საქონელი, ხოლო როგორც მყიდველი, იგი ყოველ ღონეს ხმარობს რაც შეიძლება იაფად იყიდოს სოფლის ნაბირნახულევი. უკანონო უპირატესობით აღჭურვილი ქალაქი სოფლისთვის სავალდებულოდ ჰხდის იმ ნიხრს, რომელიც თავის საკუთარი ინტერესის მიხედვით დაუდგენია. სოფელი ამას ძალა-უნებურად უნდა დაემორჩილოს, რომ თავიდან აიცილოს უსიამოვნება და დავიდარაბა, რომელშიაც ურჩობისათვის უთუოდ გაიბამს პოლიციის მოხელე. დაშინებული სოფლის გლეხი უსამართლობას იტანს. ქალაქისაგან იგი მამა-სისხლად ყიდულობს პირველ საჭიროების საგნებს, თავისას კი ჩალის ფასად ჰყიდის, შედარებით რომ ვსთქვათ. აქაც იჩაგრება მოჭირნახულე სოფელი, რომელიც ამ საერთო ვაი-უბედურებისა და საყოველთაო შიმშილობის დროს ისედაც უმოწყალოდ არის დასჯილი და განადგურებული. ეს ზედმეტი უსამართლობაც სოფელს რომ შეგნებულიც ჰქონდეს, მაშინაც ვერას გაარიგებს; თვით წესი და ხასიათი სოფლის ცხოვრებისა ამას შეუძლებლად ჰხდის. სოფლის მწარმოებელი მეურნენი დაქსაქსულად სცხოვრობენ, ერთი მეორეს დაშორებულნი არიან. ერთს მაშინ გააქვს თავის ნაამაგდარი გასასყიდად, როდესაც მეორე ქალაქიდან ბრუნდება. არ აქვთ არავითარი ორგანიზაცია და კავშირი, რომელიც მთელი მწარმოებელი სოფლის ინტერესს და შეხედულებას აყალიბებდეს, რომელსაც გამოჰქონდეს ყველასათვის სავალდებულო დადგენილება და დაურღეველის სიმტკიცით ფასების ერთპირიანობას ამკვიდრებდეს. სოფლად აღარ მუშაობს ასეთი დამრაზმელი და მომგვარებელი, ორგანიზაციულად მომწყობი პრინციპი. ამაშია სოფლის მთავარი უნუგეშობა, მისი სისუსტე. ცხადია, ანარქიულად, დაქსაქსულად მომქმედი სოფელი ვერ გაუძლავდება ქალაქს, რომლის ცხოვრება საკმაოდ მოგვარებულია ორგანიზაციის მხრივ. ქალაქის საერთაშორისოო ორგანო ამ შემთხვევაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქალაქის მკვიდრთ საერთოდ და მოვაჭრეებს, ცალკედ. ზედ-მეტად კიდევ ისა, რომ მოვაჭრეები ერთად თანა-მცხოვრობენ, მუდამ შეკრებილად და მჭიდროდ არიან; მათთვის ადვილია ყოველ სადღეისო მწვავე საკითხის თაობაზე თათბირი გამართონ და ერთი, ყველასათვის სავალდებულო გადაწყვეტილება გამოიტანონ, თავისი გაიტანონ. ამაშია ქალაქის ძლიერება.

აქედან თავისთავათ ის ბუნებრივი დასკვნა გამოდის, რომ სოფელიც უნდა შეერთდეს...

მაგრამ ჰყავს კი სოფელს ისეთი გულშემატკივარი, რომ წინ გაუძღვეს და გზა ასწავლოს?

ამ მხრივ დიდ შემწეობას გაუწევს სოფელს საურთიერთო დამხმარე დეპოზიტები, კოოპერატივები და ეს არის ერთად ერთი გზა მომხმარებელთა გაჭირვებიდან დახსნისათვის....

ჭოლა ლომთათიძე.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებ შორის,
ნუ დამიტირონ სატრფომ გულისამ,
ნუცა დამეცეს ტრემლი მწუსარის!

გულის ტკივილით გამახსენდა პოეტის ეს მწარე სიტყვები ჭოლა ლომთათიძის გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე! ჭეშმარიტათ დიდია ეს დანაკლისი მშრომელი ხალხისათვის, ვინაიდან ჭოლა განხორციელებული ტრფიალი იყო ამ ხალხისა. დიდია ეს დანაკლისი ჩვენის ღარიბის მწერლობისათვისაც. ქართველ ბელეტრისტთა ოჯახს დააკლდა თვალსაჩინო წევრი, ხოლო დასელთათანამედროვე პრესას კი უპირველესი ბელეტრისტი. სულით და გულით ვწუხვარ ხალხის შვილის უდროოდ დაკარგვას!

ია ეკალაძე.

გიკენტი (ჭოლა) გიგოლის ძე ლომთათიძე.

(ბიოგრაფიული ცნობები).

„ცრემლში მილესავს ნაღველი
და მელნად ის მიხმარია“.

აი მოკლეთ ჭოლას მთელი ცხოვრება.

ჭოლა იყო ბასილეთის (გურია) საზოგადოების, სოფელ მეწიეთში მცხოვრებ გლეხის ბიბონ ლომთათიძის პირმშო შვილი. ჭოლას ნათლობის სახელი იყო ბიკენტი. ბიკენტის ნათლია იყო გურიაში კარგად ცნობილი ძველი სემინარიელი, უკიდურესი „ნაროდნიკი“ ეპიფანე კალანდაძე, რომელმაც თავისი უკიდურესობა, აწმყო ცხოვრებასთან შეურიგებლობა სავსებით გადასცა თავის ნათლულს. ჭოლას დედა იყო ბახველი ღარიბი აზნაურის ნიკოლაიშვილის ქალი, რომლის ქება ბევრისაგან გვსმენია. სამწუხაროთ ჭოლას დედა ადრე გარდაეცვალა და მამამ მეორე ცოლი შეირთო.

ჭოლას მეტის მეტად სათუთი გრძნობა ჯერ დედის სიკვდილმა და მერე დედინაცვლობამ სავსებით მოშხამა, ამის მიზეზით ის მამის ოჯახს ბავშობიდანვე გაურბოდა და თავის დეიდასთან ცხოვრობდა. 7 წლის ჭოლა ბასილეთის ორკლასიან სკოლაში მიაბარეს. ამ დროს ბასილეთის სკოლის უფროსი მასწავლებელი იყო არსენ წითლაძე, რომელიც მოწაფეებს ქართველი მწერლების თხზულებებს აკითხვებდა. ამიტომ წიგნების კითხვა ჭოლას სკოლაშივე შეუყვარდა. სოფლის სკოლა პირველ მოწაფეთ დასრულა. სწავლის გაგრძელება სწყუროდა, მაგრამ მამამ სიღარიბის გამო ვერ შესძლო ჭოლა სხვა სასწავლებელში მიეცა. ოვით ჭოლამ სცადა შესულიყო გორის საოსტატო სემინარიაში, მარა ეს არ მოხერხდა. 1893 წელს დ. ხიდისთავში ბიბლიოთეკა სამკითხველო გაიხსნა. წინათ გურიაში სამკითხველოს მომვლელებათ ნიჭიერ ყმაწვილებს ეძებდენ, სოფლის სკოლაში კურს დამთავრებულებს, ამას დიდი ნაყოფიც მოჰქონდა. სამკითხველოს მომვლელი ყმაწვილები თვითგანვითარებას ეწაფებოდენ და როცა რწმუნდებოდენ, რომ ბევრი აკლიათ, მერმედ სხვაგან ცდილობდენ სწავლის გაგრძობას. ასეთი ბედი ხვდა წილათ ჭოლასაც. წიგნთსაცავის გამგეთ ყოფნისას ის ხარბათ დაეწაფა სამკითხველოს ყველა წიგნებს, არ დასტოვა წაუკითხავი არც ძველი და არც ახალი მას არ ყოვდა ხელმძღვანელი და ამის მიზეზით სრულიად ახალგაზდა 13—14 წლის ჭოლამ უსისტემოთ გადაიკითხა, რაც კი მოხვდა. წიგნების კითხვამ მას ბევრი რამ შესძინა. ამ დროს ხიდისთავში თავს იყრიდა „კვალი“-ს მიმართულების ახალგაზდობა, იმართებოდა კამათი, რომელშიაც ჭოლაც იღებდა მონაწილეობას და თავის სიღი და მახვილი მსჯელობა—აზროვნებით საერთო ყურადღებას იქცევდა. ხიდისთავის მცხოვრებნი ამდროს ორ ბანაკათ იყო გაყოფილი—ახალგაზდობა და ძველი თაობა. ამ უკანასკნელ ბანაკს აძლიერებდენ ვაჭრები, ამათ მხარეს იყო მთავრობა და მათი დამქაშები. ამ ორ ბანაკს შორის ბრძოლა იყო სასტიკი. მახსოვს ამ დროს ხელნაწერათ ვრცელდებოდა ჭოლას პირველი ლექსი, რომელშიაც ხიდისთაველი ჩარჩ-ვაჭრები საშინელი სარკაზმით იყო შემკული. ამ ლექმა ჭოლას ბევრი მტერი შესძინა, ბევრმა მისი გალახვაც მოინდომა... ჭოლამ გადასწყვიტა გასცლოდა ხიდისთავის ჭაობს. უმთავრესათ საკუთარი მეცადინეობით და სხვების მცირე დახმარებით ის შევიდა ქუთაისის სამეურნეო შკოლაში. ამ სასწავლებელში ამ დროს (1895—6 წელს) ეკონომ-მეთვალყურეთ იყო ცნობილი მიხა ცხაკაია. ჭოლა მოხვდა ცხაკაიას წრეში და ამ წრის საუკეთესო მოწაფე გამოდგა. მართალია, მიხა შკოლას ადრე მოაშორეს, მაგრამ მისი წრე კიდევ დიდიხანს დარჩა და ახლად მიღებულ მოწაფეებს ხელმღვანელობას უწევდა. შკოლას განაგებდა ვინმე ბიბიკოვი, რომლის აღვირ-აშვებულობას მიხას წრის მიერ გათვითცნობიერებული მოწაფეები ვერ შეურიგდენ და გაიფიცნენ. გაფიცვების ბელადი ჭოლა იყო და ამიტომ ის მეორე კლასიდან დაითხოვეს. მეგობართა დამხმარებით ის გადმართა ბესარაბიაში და შევიდა სამეურნეო სასწავლებელში. მარა მოუსვენარი ჭოლა აქაც „ზედმეტი“ გამოდგა და ის დაითხოვეს, როგორც „ბუნტოვშჩიკი“ და თავისუფალი მოაზრე. აქედან იწყება ჭოლას ხეტიალი. ის გულს არ იტეხს. მას სწყურია სწავლა, ის მიდის უგროშ კაპეიკოთ რუსეთში. ჩრდილოეთის სუსხიან ზამთარში უბინაოთ ის რჩება ხარკოვის ქუჩებში და რომ სიცივით არ მოკვდეს, დადის ერთი სასტუმროდან მეორე სასტუმროში, კითხულობს მისთვის უცნობ პირს. როცა ეუბნებიან, აქ არ დგასო, მაშინ ის ტელეფონით ეკითხება, ერთიც და მეორეც სასტუმროს. ამ ხრიკით ის [illegible] ბება, გამოდის ქუჩაში და კვლავ განაგრძობს სასტუმროებში „ნაცნობის“ ძებნას.... მართალია, რუსეთში ის უმაღლეს სასწავლებელში ვერ შედის, მაგრამ სამაგიეროთ ეწაფება წიგნების კითხვას, ეცნობა სტუდენტების წრეებს და გონებას ინვითარებს. რუსეთიდან ის დაბრუნდა. ერთხანს ისა და მისი ამხანაგი ალ. მ—ლი თვით განვითარებას განაგრძობენ თბილისში. თუ არ ვცდები. ამ დროს ჭოლამ დასწერა პირველი მოთხრობა, რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში“ 1903 წლამდი ის უფრო ანარქიული მიდრეკილების არის. ამ წელს კი ეცნობა ბათუმში მომუშავეთა ჯგუფს, რომლის გავლენას და დისციპლინას ის ემორჩილება. აი ამ წლიდან იწყება მისი პარტიული მუშაობა, ამ დღიდან ის ხდება ს.-დ. პარტიის სული და გული. პირდაპირი, მიუდგომელი, ფიცხი ჭოლა, ხან მრისხანე და ხან სათუთი, ყველა ამხანაგების საყვარელი ხდება. ნაკითხი, განვითარებული, სხვა პარტიათა მოძღვრების მცოდნე, ჭოლა პარტიის დაუფსებელი მუშაკია, მისთვის არ არსებობს პირადი ცხოვრება, მისთვის არ არსებობს პირადი მეგობრობა—ყველაფერი პარტიისათვის—არაფერი პარტიის გარეშე—ასეთია მისი მრწამსი. მოძრაობის პირველ ხანას, მუშაობა და გლეხთა აქტიურ გამოსვლას ის ბავშვური აღფრთოვანებით შეხვდა. ჭოლა ფეხით, დღითა და ღამით, დარში და ივდარში დაუზარელად, აღტაცებით დადის ყველგან, საცა კი საჭიროება ითხოვს. მან არ იცის დაღალვა, არ იცის მოსვენება. ბუნებით სუსტი (ჭლექის ნიშანი ბავშვობიდანვე ქონდა) ავადმყოფი გამუდმებით მუშაობას, ხან სიტყვიერ პროპაგანდა აგიტაციას ეწევა, ხან საბოლემიკო წერილებს სწერს, ხან კი კითხულობს და ემზადება. როგორც მოგიხსენეთ მას სკოლაში არაფერი უსწავლია, მაგრამ იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომლის ნაწერი მას არ შეესწავლოს... რეაქციის შემდეგ ჭოლა ერთხანს გურიის ტყესა და ღრეში იმალება, მაგრამ აქაც შრომობს.

გარეკეს პირველი დუმა მოიწვიეს მეორე და ამ მეორე დუმის დეპუტატათ ჭოლა აირჩიეს. ის დეპუტატობას თვით არ ცდილა, მაგრამ ამსანაგთა გადაწყვეტილებაზე უარიც არ უთქვამს...

ჭოლა ციხემდინაც და ციხეშიაც სწერდა მოთხრობებს, ციხეში წერას კიდევ მოუმატა. ავათმყოფი, სიცხეში მბორგავი

გზაში.

(სილუეტი.)

...ფიცხია, კნიაზო, გურული კაცი მეტის მეტად ფიცხია... არ გეწყინოს კი და... შახტება უცებ გაუხედნავ კვიცივით, შატლინკდება მამაცხონებული და აბა, თუ ვაქკაცი ხარ, დამაგრდი...

— საიდან ვიცი მე ესა? ვახ, ნეტავი არ ვიცოდე, კარგი იქნებოდა, შენმა მზემ, მაგრამ რომ ვიცი, ჩემ საკუთარ ზურგზე რომ გამოვცადე! ერთხელ ისეთი მცემა, ისეთი მცემა გურულმა, კნიაზო, რომ სულ ბოლი ამადინა...

— გიამბო? რათ გიყვარს, კნიაზო, შენა ასე გამოკითხვა, თითქოს „სლედავატელი“ იყო... ჰო, კარგი, კარგი გეამება, გეტყვი, საქმე ხომ მეტი არაფერი გვაქვს და მერე ისიც უნდა ითქვას, რომ კარგია გზაში ლაპარაკი—მიდიხარ, საუბრობ გზა ისე თავდება, ვერც-კი გაიგებ... სადილი კნიაზო? აი გავიაროთ კიდევ დუქანი შეგხვდება, ჩვენი სოფლის ბიჭს უჭირავს, იქ დავნაყრდეთ შენა მპატიჟობ, კნიაზო! კაი დაგემართოს, მაგას რაღა სჯობია... ღვინოსა? ვახ, ვახ! ვსვამ მა რა! ქართველმა და ღვინო არ დავლიო! შენა, კნიაზო, არ სვამ? ვერა, ვერ დაგიჯერებ, ულვინოთ როგორ შეიძლება, ღვინო ზიარებაა...

— მე ! შეგონა დაგავიწყდა—რაკი არ მეშვები, გიამბობ, ჯანი გავარდეს.

— ერთხელა, კნიაზო... ი ეშმაკი რო კაცს აიტაცებს, თორემ მამა დალაქი მყავნდა, ნალბანდობას არ მრჯიდაო, აბა და რა ჩემი საქმე იყო ვაჭრობა,—ერთხელა, კნიაზო, ჩავაწყე კალათში ასი-ოდე კვერცხი და ა-ნში წავიღე. იქა მაშინ „ნასლეტნიკი“ ცხოვრობდა, აცხონოს ღმერთმა, ძაან კაი კაცი იყო და ჩვენი ქართველები—ამბობენ—ძაან უყვარსო. დიდ კაცობა ბევრი იყო მაშინ იქა, სასმელ საჭმელსა კაი ფასი ჰქონდა—ერთი კვერცხი შაურად იყიდებოდა. ჰო და მეც წავბაძე მეზობლებს, მოუყარე თავი ასიოდე კვერცხს—ერთი ხუთი მანეთი გამოვა მეთქი.

— მიუახლოვდი ა-ნს და დახე ერთი, ის ოხერა და ტიალა გეურქა ვაჭრის ბიჭი, ხელად ხორენას ეტყვიან, ის არ გადამიდგა წინა! ეხლა იმ ბიჭს ხილის დუქანი აქვს, ერთი ოხერი ვინმეა, ნამდვილი კინტო.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— კალათში რა არის?

— კვერცხი.

— გასასყიდია?

— გასასყიდია მა რა იქნება, ნათლიდედა როდი მყავს ა-ნში რომ იმას მიუტანო.

— მაშ, მოიტა რაღა, ერთბაშათ მამყიდე.

— იყიდე, შვილოსან, ვინმემ ხომ მაინც უნდა იყიდოს.

— რამდენია?

— ასი.

— ეჰ, ჯანი გავარდეს, ერთი ახლისაგან ახალი, ქოჩრფა მანეთიანი მიგდია ჯიბეში, ვერცხლის ფული...

რა კარგი ბიჭი ყევხარ და დედაშენსა!.

— მა რა გინდა... კარგი, შენი ხათრისთვის ათ შაურსაც დაუმატებ.

— ეჰ, ახპერჯან, შენ არ ხარ მუშტარი.

— რამდენი გინდა—თქვი შენა.

— კვერცხი—შაური.

— ერთი კვერცხი—შაური? მერე და, შე ქრისტიანო, ღმერთი აღარ არის?

— ღმერთი, შვილოსან, დიდება მის სახელს... როცა თქვენ ყიდით რაიმეს, მაშინ რათ არ გაგონდებათ ღმერთი?

— ჰო, კარგია, ნუ მიჰქარავ... მოიტა, ორი მანეთი...

— რას ჩამაცვდი, ძმაოჯან, ვინ გაძალებს! მე ფასი გითხარი. არ გინდა? მშვიდობით იყავი.

— არც ორ მანეთ-ნახევარი გინდა?

— ხუთ მანეთს კაპეიკიც არ დააკლდება.

— უჰ, შანვორთი... ტუტუც ვრაც...

— შანვორთიც შენ ხარ, ტუტუციცა, სომეხიც და არც არა იცი რა.

-- მაშ წადი თუმნად გაჰყიდე... აი, აბა გაჰყიდე!

— და უცებ, კნიაზო, ჰკრა წიხლი კალათსა, ჰკრა წიხლი, გადაბრუნა და ერთ წუთას ჩემი კვერცხები ფაფასავით აქცია. მოფიქრებაც-კი ვერ მოვასწარი, რომ ის უკან, ა-სკენ გარბოდა.

— ვიდეექი და დავცქეროდი თავზე ჩემს დამტვრეულ კვერცხებსა, რომ ამ დროს უკანიდან ა-ნში მიმავალი პრიჰტავი წარმომადგა თავზე მისი ჩაფრიანა.

— ე რაა, ბიჭო!

— შენა და შენი ღმერთი, კნიაზო, მიშველე! ყველაფერი უამბე.

— იცნობ იმ ბიჭსა?

— აკი ვთქვი, გეურქას ბიჭია მეთქი.

— წამამყევ.

მივედით ანში, გაგზავნა ჩაფარი. ი. სულელი ბიჭი აკი დუქანში დახვედროდა მოიყვანა ჩაფარმა.

— შენ, ბიჭო, რა თავს იგდებ? დაუყვირა პრიჰტავმა.

— მე არ ვყოფილვარ, ბატონო!

— არ ვყოფილვარო, რო ამბობ, რა იცი რაზე გეკითხები შენ...

და ერთი ისეთი პრიჰტაული აპამა, რომ მოწყვეტილ ვაშლივით დაეცა ძირს ის ჩემი ცოდვით სავსე.

— რათ დაუმტვრიე კვერცხები?

— კნიაზის მზემ, მე არ მექნას.

ახლა უფრო მაგრათ გაუშალა სახეში, დასცა ისევ ძირს და შედგა წიხლებით ის კი გაიძახოდა—არ და არაო. ოხერი! მე რომ იმდენი მცემონ, რაც არ ჩამიდენია, იმაში გამოვტყდები, ის კი... ვუცქირე, კნიაზო, ამ ამბავსა და უცებ დავფიქრდი: კაცო და კვერცხის გულითვინ ადამიანს ჰკლავენ, რა პასუხი უნდა გავცე ღმერთს, ჩემ გამჩენს, ხომ მონათლული, მირონცხებული კაცი ვარ მეთქი. შემეცოდა, შემეცოდა ის ძაღლი, კნიაზო...

— კნი-ი-აზ! გავბედე.

ვერ გაიგონა.

— კნიაზო!

— რა გინდა?

— კნიაზო, სულს ვერ დავკარგავ..

— რაო?

და ისე გადაატრიალა თვალები რომ... შემეშინდა, მარა რაღას ვიქნოდი.

— მგონი ეგ ბიჭი არ ყოფილა, კნიაზ...

უცებ დაეცა და დაეცა თვალებში, როცა გონს მოვედი, მიწაზე ვეგდევი.

— აი შე ასეთო, შე ისეთო... შე ტეტია და ვირო... დამცინის?

და დაიწყო ჩემ ზურგზე ცეკვაობა. შემდეგ ამიღეს და დამამწყვდიეს. ვეგდე იქ ის დღე და ის ღამე. გათენდა—გამოგიყვანეს.

— მოდი, ბიჭო, აქ!.. მიბძანა პრიჰტავმა.

მივედი.

— ხომ ის ბიჭი იყო?

— მა სხვა ვინ იქნებოდა! ის იყო.

— მაშ რათ იუარე, თუ ის იყო?

— შემეცოდა, კნიაზო... ღმერთმა დიდ ხანს გაცოცხლოს და ეს მუშტები ბამბისა როდი გქონია.

— ა შე ტეტია, შენა! შენ კი შაიცოდე!

— რა ვქნა, კნიაზო, მე ქრიტიანი, მონათლული კაცი ვარ.

— ქრიტიანი! ქრიტიანი! წადი დაიკარგე აქედან, შე ქრიტიანო, შენა!

ერთი პანღური კიდევ ამომკრეს და გამამაგდეს.

— მივდივარ დაღონებული. ვფიქრობ: აბა, რა შენი საქმე იყო, შე ვირის თავო ვაჭრობა, ღმერთს რომ შნო არ მოუცია., გავიხედე.

— აკი ი ბიჭი ისევ გადამიდგა წინა. შავატყე.

— კარგი არ ედვა გულში. მაგრამ თითქოს ვერა ვხედავ.

— სად მიდიხარ შე...

ერთი ისეთი მყრალი შემომაგინა, კნიაზო, რომ...

გულზე მდულარე გადამევლო, თვალები დაბნელდა. ე ოხერი და ტიალი, ალბათ ჩემი წერა ყოფილა მეთქი...

დავტაცე, კნიაზო, ხელი, ავიღე და ისეთი დავანარცხე მიწაზე, რომ თუ ცოცხალი დარჩებოდა არ მგონებია. ემან კიდევ უფრო გამაგიჟა, მივდექი და დაუწყე ჯიჯგნა.

მოცვინდა ხალხი, პოლიციამაც მოგვისწრო. წამიყვანეს, შამიყენეს „პრატაკოლი“, მცემეს... შემდეგ ერთი კვირა „მიროი სუდმა“ ციხეში დამამწყვდია... აი, ასე იყო ეს კნიაზ...

— გურული კაცი რა შუაშია? როგორ თუ რა შუაშია? აკი ვთქვი, მცემა მეთქი პრიჰტავმა. ი პრიჰტავი გურული იყო, არ მითქვამს განა, კნიაზ? ჰო და ფიცხია, კნიაზო, გურული კაცი, რომ ახტება გაუხედნავ კვიცივით, შატლინკდება, მერმე მისი დამშვიდება ძნელია... გურული კაცი კი ხარ, კნიაზო, მარა, ეს ასეა და არ გეწყინოს!..

აი დუქანიც მოჩანს...

სპირიდონ მცირიშვილი (ჭოლა ლომთათიძე.)

ახალციხის ციხე მაისი 1911 წ.

ჭლექის ოფლით დასუსტებული იხ გამუდმებით სწერდა. ბევრი მისი ნაწერი სხვა და სხვა გაზეთებში უკვე დაიბეჭდა, მაგრამ კიდევ ბევრი დაუბეჭდავი დარჩა, ზოგი დაიკარგა და ზოგი წაართვეს. ზოგი თვით იძულებული შეიქნა დაეწვა.. მის მოთხრობა-მოგონებებს ბელეტრისტის უტყუარი ნიჭი ეტყობა და მიუდგომელი კრიტიკა ღირსად დააფასებს. მის მიერ ლექსათ ნათარგმნი ჰეინეს ლექსები (ორი აბაზი დირს) საუკეთესო თარგმანათ ითვლება- ყველა მისი ნაწერები რამდენიმე ტომი გამოვა. 1903—4 წლებში ის მონაწილეობას იღებდა „კვალის“ რედაქციაში,. სწერდა სპირიდონ მცირიშვილისა, ჭ. ოლიას და ჭ. გერის ფსევდონიმით.

ნარ-ეკლიანი იყო ჭოლას გზა, მაგრამ ის ერთხელაც არ შემკრთალა, ამ გზიდან ერთხელაც არ გადუხვეია.

„თ. ა“.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, 8 ნოემბერს, მთავარანგელოზის მაკლესიაში, დილის 12 საათზე, ბადახდილ იქნება პანაშვიდი მეოცე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატის ჯოლა ლომთათიძის სულის მოსახსენებლათ.

✦ გუშინ კავკასიის მეფის ნაცვლის დაბადების დღეს ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ პარაკლისი გადაიხადა.

✦ „თანამედროვე აზრის“ ქართული ბელეტრისტის, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატის ჯოლა ლომთათიძის გადაცვალების გამო შავი არშიით გამოვიდა.

✦ რედაქციამ მიიღო სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „განათლება“ ოკტომბრისა და ნოემბრის ნომერები. ჟურნალი ლამაზათაა გამოცემული და შინაარსიანია. ჟურნალს თან ახლავს ორი კარგ ქაღალზე დაბეჭდილი სურათი: ამოს კამენსკი და ჰერბერტ სპენსერი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო აგრეთვე თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემა „შურისძიება“ მოთხრობა შავმთიელების ცხოვრებიდან სიმა მატავულისა, გადაბეჭდილი გაზ. „სამშობლოდან“ წიგნაკი სუფთად არის გამოცემული და ღირს ერთ შაურად. ძალიან კარგს ინერებს ბ. მთავრიშვილი და ამხანაგობა თუ ასეთ პატარა დროის შესაფერი და შინაარსიანი წიგნაკების გამოცემით ხელს შეუწყობს მდაბიო ხალხის გონებრივ განვითარებას და მით აღმოფხვრის ხალხში მრავლათ გავრცელებულ შაბბარათოვისა ტ მის მზგავსთაგან გავრცელებულ უშინაარსო წიგნაკებს.

✦ ქართულ გიმნაზიაში ალექსანდრე წერეთლის თაოსნობით დაარსდა ლიტერატურული წრე. წრეში ყოველ შაბათ-კვირაობით იკითხება რეფერატები და ლექციები უფროსი კლასის მოწაფეთაგან.

✦ ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართონ ამავე გიმნაზიის მოწაფეთათვის გამოსცენ ყოველკვირეული ჟურნალი „საქართველოს ყვავილები-ს“ სახელწოდებით

✦ შავიქვის საბჭო, რომელიც ქიათურაში იყო წასული საქმეების გასარჩევათ, დღეს დილით ქუთაისს დაბრუნდა.

✦ კავკ. სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე, რომელშიც მიიღო მონაწილეობა, სხვათა შორის, ქალ. ქუთაისის და ქუთაისის გუბ. წარმომადგენელმაც, ბ. გრ. გველესიანმა, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1) საქმე სახალხო სკოლების ყოფილ ინსპექტორზე ბ. ტერ-გასპარიანზე გადაეცეს პროკურორს წინასწარი გამოძიების მოსახდენად; 2) დარჩეს ღიათ საკითხი ზესტაფონში სავაჭო პროგიმნაზიის გახსნის შესახებ, ვინაიდან აქ არსებული უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი თავის პროგრამით იგივე პროგიმნაზიაა; 3) ყველა უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებთან (ოც ადგილას) დაარსებულ იქმნას სახელოსნო განყოფილებები და 4) თფილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებული დედათა სასწავლებელი მესამე ხარისხისა გადაკეთებულ იქმნას დედათა სრულ გიმნაზიათ, სადაც სწავლა იქნება ქართულ ენაზე, თანახმად 1914 წლის 2 ივნისის კანონისა. (მ.)

✦ „საქართველოს პეტროგრადიდან“ დეპეშით ატყობინებენ: მაჩაბლის შუამდგომლობით ტატიანას კომიტეტმა ქართულ საქველმოქ. საზოგადოებისათვის გადასდო ერთდროულად 37 ათასი მანეთი, ყოველთვიურ დახმარებად 11 ათასი მანეთი. დამატებითი დახმარებაც აღუთქვეს. კომიტეტის თავმჯდომარე ნეიდგარტი სალამს უძღვნის ქართველებს და გვთხოვს ვაცნობოთ, რომ უპირატესობას არ აძლევს სხვა ერებს. ყოველთვის მოჰმართეთ კომიტეტს საჭიროების დროსაო.

ქართველების წარმომადგენელნი საეკლესიო საქმეების თაობაზე იყვნენ ვოლქინთან, ერობის საქმის თაობაზე ვოლკონსკისთან. ორივემ გულმხურვალედ მიღო. აღუთქვეს, გულდასმით გაეცნობიან საქმეს. მადლობა გადაუხადეს დარბაზობისა და წაქეზებისათვის. სთხოვეს, რომ პირდაპირ მათ მიჰმართონ ხოლმე და ყოველივე დახმარებას დაჰპირდნენ. სხვებიც კეთილგანწყობილნი არიან ჩვენ, მიმართ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქუთაისის მცხოვრებ ნინო ლუკას ასულს კიკვაძეს გახსნას და მისი ხარჯით შეინახოს ქ. ოზურგეთში ჭრაკერვის სასწავლებელი.

✦ 4 ნოემბერს ივანოვის ქუჩის მცხოვრები ვლ. თოდაძე გაქურდეს ზარაღი 25 მანეთს აღემატება.

✦ ქართველთა შორის წ. კ. გამ. ქუთაისის განყოფილებამ 6 ნოემბერს, კრებაზე გადასწყვიტა მიიწვიონ 29 ნოემბერისათვის დილის 11 საათზე შავი ქვის საბჭოს დარბაზში განყოფილებების თითო წარმომადგენელი შემდეგი საკითხების გასარჩევათ:

ა. გუბერნიის დაყოფა განყოფილებათა შორის სამოქმედოთ.

ბ. განყოფილებათა შორის დამოკიდებულება.

გ. განყოფილებათა განწყობილება მთავარ გამგეობასთან.

დ. სამკითხველოების ორგანიზაცია.

ე. წიგნების გამოცემა-გავრცელების ორგანიზაცია.

ვ. სახალხო ლექციების ორგანიზაცია.

ამავე კრებაზე გადასწყვიტეს გაიგზავნოს სამკითხველოების მეთვალყურე მელიტონ დოლაბერიძე სამკითხველოების სარევიზიოთ გარდა იმ სამკითხველოების, რომლის დათვალიერებაც დეევალება. ბ. მოსეშვილს. ეს სამკითხველოებია: გუბის, მაღლაკის, ქვიტირის, მუხიანის, ბაღდადის და დიმის სამკითხველოები. ბ. ს. ხუნდაძეს ქუთაისის ბიბლიოთეკები. და ს. ყიფიანსა და გრ. გიორგაძეს ხრესილისა და კურსების სამკითხველოები. აგრეთვე გადასწყვიტეს მოიწვიონ წიგნების პროვინციებში გასავრცელებლათ გრიგოლ ცეცხლაძე.

✦ 1916 წელს იანვრის 1 რიცხვებში ზუგდიდში გაიხსნება მეექვსე აგრონომიული პუნკტი.

✦ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ამ ჟამათ თავისუფალია საქმის მწარმოებელის ადგილი.

✦ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს განსაკუთრებულმა თათბირმა ქალაქის თავს გამოუგზავნა შეკითხვა, თუ რა მდგომარეობაშია ქალაქი შეშის მხრით. ქალაქის მოურავმა მოლაპარაკება გამართა ამის შესახებ ზოგიერთ ვაჭრთან.

✦ გუშინ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოწაფეები ქუჩებში დასეირნობდენ სამხედრო მუსიკით და სასწავლებლის დროშით.

✦ ორშაბათს 8 ნოემბერს დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა თავად აზნაურთა წინამძღოლს თ-დ დ. ს. ნიჟარაძეს აცნობა მეფის მოადგილის საქალაქო ნაწილის თანაშემწის პეტერსანის დეპეშა, რომ მისმა უმაღლესობამ ისურვა, რომ მისი დაბადების დღის მისალოცი დეპეშები არ მიიღოს.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქალთა წრეს ნება დართო 13 ნოემბერს წარმოადგინოს ქალაქის თეატრში სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“.

✦ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ვაჟა-ფშაველას სახელობის ღულაძის მინდორზე სამკითხველოს შენობის გეგმა.

✦ გუშინ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან დეპეშები არ მოგვსლია.

✦ სხვა და სხვა მიზეზების გამო კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი გადადებულია 28 ნოემბრისათვის.

ჩაჰქრა ცხოვი.

სპ. მცირიშვილის ხსოვნას.

სდუმს ქვეყანა, ბნელ სუდარში გახვეულა არე-მარე
და ნაღვლიან ტურფა მზარეს, გლოვობს მაღლით მადრი მთვარე.
შესუდრულა შავი ნისლით მაშვრალთ კერა და სავანე,
აღარ ისმის ჩანგის ჟღერა, თავისუფლათ მონარნარე.
ღამის გუშაგს, ტრფობის დარაჯს გულს უსერავს სევდა მწარე,
არ დაჰყურებს ცისარტყელა, ცის კიდურზე მოელვარე.
ერთობის და ძმობის ჰანგსა გლოვობს ცრემლით მაშვრალთ კერა,
მეფობს ძალა ბნელეთისა, შეწყდა მშრომელთ გულის ძგერა...
სიმართლისთვის წილადა გვხვდა: ხუნდები და სახრჩობელა,
გაჰქრა წუთი ნეტარების, შთაინთქა და ჩაიფერფლა.
გადამწყვეტი ტრფობის ბედი შორს სივრცეში ჩაესვენა,
მაგრამ მაინც გულს გვიმხნევებს მომავალი ბედის წერა!..

კ. მიმძრალი.

მსახიობი ვანო ბარველი.
(წრეკანდელ სეზონის გამო).

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ორასამდე მომღერალი.

✦ დღეს დ. ყვირილაში გალ. ტაბიძის და გ. ქუჩიშვილის მონაწილეობით, გაიმართება ლიტერატურული საღამო ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებათა სასარგებლოთ.

სოფლად.

— კვირას, 1 ნოემბერს დ. საჩხერეში ქ-ნ ანეტა იურკევიჩის თაოსნობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „სტუმარი“ დრამა 2 მოქმ. და „ირინეს ბედნიერება“ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო.

ამ მოკლე ხანში აპირებენ დ. ბედუშელისათვის ბენეფისის გამართვას, რომელიც ომში გაიწვიეს. წარმოდგენილი იქნება „ციმბირელი“.

— **უბედური შემთხვევა.** პირველ ნოემბერს ს. ზარაგის (შორაპნი მაზრა) მცხოვრები, რომელც ავათ იყო ავი ზნით უეცრათ გადავარდა მდ. ხერიმეჩლაში და დაიხრჩო.

— 30 ოქტ. დ. ახალ-სენაკის მცხოვრებს მიხეილ ცავას გაუტეხეს დუქანი და წაიღეს 455 მ. ღარებული საქონელი.

— ს. სალხინოს ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბარნატორის წინაშე, რომ ნება დართონ ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გამართონ წარმოდგენა კონცერტიული განყოფილებაწარმოდგენილ იქნება ქართული პიესა „სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა“. დასასრულ ანოთეოზი.

სათეატრო ქრონიკა.

ქალაქის თეატრში დღეს, 8 ნოემბერს, „**ქართული დრამის**“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება **მეიერის** პიესა **„მემკვიდრე პრინცი.“** უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ქ.ბ.ა. შოთაძე; ბ. ბ. ზარდალიშვილი, კორიშელი, მურუსიძე, ყალაბეგიშვილი.

——

19 ნოემბრისათვის მზადდება **ელო ანდრონიკაშვილის** ბენეფისი.

მოოგელთა წრის დანიშნულება.

სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებში არსდება მშობელთა წრე იმ მიზნით, რომ მჭიდროთ დაეკავშიროს ერთმანეთთან ოჯახი და შკოლა და ამით ხელი შეუწყოს სწავლა—აღზრდის გონიერ და სწორე გზით მსვლელობას; ასეთ წრის დასაარსებლათ საჭიროა წერილობითი განცხადება პედაგოგიური საბჭოს წინაშე არა ნაკლები ათი მშობლისა. ზემოაღნიშნულ მიზნის მისაღწევად წრეს უფლება აქვს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში ხმის უფლებით, რომელსაც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სწავლა აღზრდის შესახებ აღძრულ კითხვების გარჩევაში, გარდა იმ კითხვებისა, რომლებიც მოსწავლეების ცოდნის დაფასებას შეეხებიან, ე. ი. ნიშნების დასმაში; აგრეთვე შეუძლია შეიმუშაოს პედაგოგიური კითხვები და ოჯახში ბავშვების გონებრივ, ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდა—განვითარების საქმის შესახებ. წრის წევრებათ ირჩევიან ის მშობლები, აპეკუნები და მზრუნველები, რომლებიც სცხოვრობენ იმ ქალაქში, სადაც სასწავლებელი არსებობს. მშობელთა კრება თითოეული კლასისა კანონიერად ითვლება თუ ერთი მესამედისაგან შესდგა და მაშინ ირჩევს ერთი წლის ვადით სამიდან ათ დელეგატამდე; დელეგატები კი ირჩევენ თავიანთ შორის თითო წარმომადგენელს პედაგოგიურ საბჭოში დასასწრებლად.

წარმომადგენლების მოვალეობას შეადგენს: პედაგოგიურ საბჭოში დასწრება, წრის საბჭოში მონაწილეობის მიღება, დასწრება გაკვეთილების მიცემის დროს იმ კლასში, რომლის წარმომადგენლადაც ითვლება, აგრეთვე დასწრება გამოცდაზე სასწავლებლის უფროსის და მასწავლებლის ნებართვით; აი ამიტომ მეტად საჭიროა ყოველთვის წარმომადგენლად, თუ წრის საბჭოში წევრად არჩეულ იქმნას პედაგოგიური ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პირი, თუ კი ასეთი მოიძებნება დელეგატებში. წრის საბჭო ახდენს სხდომებს კვირაში ერთჯერ ან ორჯერ; დელეგატების საზ. კრება ხდება სამ თვეში ერთხელ, როდესაც ჩვეულებრივია; აუცილებელი და საჩქარო კითხვების გადასაწყვეტად საბჭოს შეუძლია მოიწვიოს საგანგებო კრებაც.

წრის საბჭო შესდგება ათი კაცისა და ყველა წარმომადგენლებისაგან; ამ გვაროვად წრის საბჭოში იქნება სულ 18—20 კაცი. წრის საბჭოს მოვალეობას შეადგენს: იქონიოს მიწერ-მოწერა მშობლების წრის მაგიერ საჭირო პირებთან და დაწესებულებასთან, მოუაროს წრის ქონებას და თანხას, გაანაწილოს საქმეები თავის წევრთა შორის ერთმანეთთან შეთანხმებით, აღძრას პედაგოგიურ რჩევის წინაშე ისეთი კითხვები, რომლებიც ბავშვების სწავლა-აღზრდას შეეხებოდეს, იზრუნოს ბავშვების ფიზიკურ აღზრდისათვის, რისთვისაც უნდა მოაწყოს სათამაშოები, გასართობები, ექსკურსიები სახალხო ბინები, სარეპეტიციო კლასები, საღამოს კურსები, მესამე გაკვეთილის შემდეგ მიაწოდოს მოსწავლეებს ცხელი საუზმე, გაუადვილოს სახელმძღვანელო წიგნების შეძენა, იზრუნოს წრის საშუალების გასაადიდებლათ, რისთვისაც შეკრიბოს საწევრო ფული, შემოწირულებანი, გამართოს წარმოდგენები, სალიტერატურო საღამოები, ლექციების კითხვა და სხვანი... გაარჩიოს მშობლების მიერ შემოტანილი განცხადებანი, განიხილოს წინდაწინვე ყველა კითხვები, შეიმუშაოს და შემდეგ დელეგატების საზოგადო კრების წინაშე წარადგინოს.

წლის თავზე სარევიზიო კომისიამ უნდა შეამოწმოს ყველა ის ფული, რომელიც წლის განმავლობაში სხვა და სხვა წყაროებიდან შემოსულა და როგორ დახარჯულა.

ვურჩევ ყველა მშობლებს მიიღონ მონაწილეობა და ჩაეწერონ წევრებათ ასეთ სიმპატიურ დაწესებულებაში.

ლადო ბზვანელი.

პატარა ფელეტონი.

ავადმყოფ მტარვალის სიზმარი.
(მონგოლთა ყაენების ცხოვრებიდან).

— ვინა ხართ, ვინ?!.—წამოიყვირა ლოგინიდან ჩამოვარდნილმა დიდმა მონგოლთა მფლობელმა.—ოჰ, თქვე შეჩვენებულებო, თქვენა!.. რას ჩამციებიხართ?.. მსახურნო!.. მონანო!.. მოდით!.. გაყარეთ!

— მტარვალო!—ჩასძახის ყურში უცნობი ხმა.—თურანი და ჰაერანი გადალახე, მცირე აზია წალეკე, მედიდური კავკასიონი დიმორჩილე, მთელი ალმოსავლეთი ევროპა დაიპყარი და აჩრდილებისა გეშინიან?.. თრთიხარ განა?!. შენი ნამოქმედარი სულს გიმძიმებს, არა?!.

— ველარ მიცანი?. ჰა! ჰა! ჰა!.. ველარ მიცანი?—ეკითხება სისხლში ამოსვრილი არსება.—აბა, დაფიქრდი ვინ ბა მოგაგონდე?.. ჩემი ქვეყანა ბარი ადგილია; როდესაც უღრანი ტყეთ—ერ დაფარული საარკესეებრ ტბები ამკობდა. შიგ ოქროს თმიანი ლურჯთვალა ქალები და ვაჟები ბანაობდნენ. ყველანი ჩემი ძუძუთი იყვნენ დაზრდილნი. შენ მოხვედი, ბნელი ძალის კალთა გადამფარე, დამიმონავე. ჩემი ქვეყნის ტყეები გადაკაფე. წყლებს სილამაზე წაართვი, ააშმორე, გველ-ბაყაყით გაავსე... ხედავ ამ წყლულს? უფრო და უფრო ღრმავდება. შენი მახვილის უნარია... შურის ძიების დრო დადგა. ხედავ?—მოჩვენებამ მტარვალს ალმასივით ბასრი ლახვარი დაანახვა და დასარტყმელად ასწია.—ამითი სწორედ ის ადგილი უნდა გაგიგმირო, რა ადგილიც მე მაქვს დაწყლულებული.

— მე? მე? ვერც მე მიცანი? რა გულმავიწყი ყოფილხარ!—ეუბნება დაცინვით ვიღაც თეთრებში გახვეული.

— გეტყვი ვინცა ვარ.

მტარვალი აშტერდება. როგორ არ იცნო? იცნო და თვალ წინ წამოუდგა უზარმაზარი მდინარე, უცხო წალკოტებით დაფენილი წყლის ნაპირები და მოელვარე თმიანი ასული.

— მაშ შენ ისა ხარ? რა გინდა? რათ მოხვედ? გამეცა!—ეუბნება დაუძლურებული მტარვალი.

— სამშობლოს წალკოტები გამივერანე.—ესმის პასუხად ავადმყოფს.—ჩემი ხორცი აწამე, აი, ჩემი დალურჯებული ტანი. მინდა შენი სული დავტანჯო. მინდა გული დაგიდაღო, მინდა ნელ-ნელა გახურებული შანთი გაგიყარო მუცელში, რომელიც შენ გაიდიდე ჩემი თანამოძმეთა სისხლით,—უთხრა მოჩვენებამ და გახურებული შანთი მუცელზე დაადო.

მტარვალმა საშინლად დაიყვირა, მიშველეთო, მაგრამ მშველელი არსად იყო. „მიშველეს“ დაყვირებაზე მესამე მოჩვენება წამოეტუზა წინა.

— შენ მე სულიერათ დამაბრმავე. თვალები უნდა დაგთხარო.—ეუბნება მესამე მოჩვენება და თვალებში გახურებულს ისრებს უმიზნებს.

— მეც ხომ მცნობ? მეც ხომ მცნობ?—ეკითხებიან დანარჩენებიც. მხოლოდ ერთი ვინმე შავებით მობურული გამდგარა განზე და ხმას არ იღებს, მაგრამ ავადმყოფს ლაჟინებით კი უცქერის.

— შენ ვინღა ხარ?—ეკითხება მტარვალი,—შენ რატომ აღარაფერს ამბობ? შენი დუმილი უფრო მტანჯავს!

მოჩვენება წინ მოიწევს. სხვები ალაგს უცლიან.

— მაშ ძალიან გინდა გიგო, ვინცა ვარ? ყველა ჩაგრჩენია თავში ჩემს გარდა. აბა, ერთი დამაკვირდი?—ეუბნება შავებით მობურული.—ვერ მომიგონე? მაშ ყური დამიგდე: ჩემი ქვეყნის ველებს ოდესღაც ია და ვარდი ამკობდა. ჩემი ქვეყნის პატარა მთის მწვერვალებს ოდესღაც მწვანე ხეების გვირგვინები ჰქონდათ თავს წამოდგმული; მდინარენი მზეზე ალმასებს ათამაშებდნენ. შენ გამოიარე და ბალახი გახმა. ველები ნარ-ეკლით მოსდე, ია და ვარდი დაამკნე, ველარა ხარობს, კოპწია მთებს თავიდან გვირგვინები მოჰგლიჯე, მოაქაჩალე, ძეძვნარით მოჰფინე და მიკიოტების ბუნაგად აქციე. ბუმბერაზი მთები დამიღონე, მე დამიმონე, ბორკილები შემომადე, გამაშიშვლე და დედიშობილა გამიშვი. განკითხვის დღე დადგა. უნდა ჩემს წინ პასუხი აგო. უნდა სამაგიერო გადაგიხადო...

მოჩვენებამ ავადმყოფს საბანი მოჰგლიჯა და ტახტზე ძეძვი და ნარ-ეკალი გადაყარა.

მტარვალმა ერთი ძლიერად დაიყვირა, გაინძრა-გამოინძრა და თვალები გაახილა... დიდი ხნის უძილოს ჩასძინებოდა.

დიდმა მონგოლთა მფლობელმა ამოიხვნეშა. გულს ეფონა: თავს ლამაზი მხევლები დასტრიალებდნენ: ზოგი ციცვ ტილოებს ადებდა გახურებულ შუბლზე, ზოგი საბანს უსწორებდა და შიშველას უმალავდა. ინ-ბანი. (ს).

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 5 ნოემბერი. ფელდმარშალი ფრენჩი იტყობინება: 3—4 ნოემბრამდი ჩვენმა მცირერიცხოვანმა რაზმმა გაარღვია მოპირდაპირის პირველი რიგის თხრილი მესინის სამხრეთ-დასავლეთით, ასჩეხა 30 კაცი თხრილის დამცველთა შორის. რაზმმა დაკარგა მხოლოდ ერთი მოკლული და ერთიც მსუბუქად დაჭრილი. ტყვეთ წამოიყვანა 30 კაცი. ამ შემთხვევას მტერი თავის მოხსენებაში მოგვრებათ სთვლის.

ინგლისის ჯარის ხელმძღვანელი დარ-

დანელიდან იტყობინება 2 ნოემბრის თარიღით, რომ 52 დივიზიამ მოახდინა მარჯვე წინასწარ შემზადებული იერიში ოსმალთა თხრილებზე, სადაც სამი ნაღმი მოხერხებულათ აფეთქდა კრიტი შულას ახლოს. ამის შემდეგ ქვეითა ჯარმა შეუტია მოპირდაპირეს და ხელში ჩაიგდო 160 იარდის მანძილზე თხრილი აღმოსავლეთით და 120 იარდის მანძილზე ბუღლას დასავლეთით. დაკავებული თხრილები სასწრაფოთ გავამაგრეთ. ხელით საროლ ყუმბარებით შეიარაღებული რაზმი გაეშურა თხრილებისკენ და დაეხმარა ბარიკადების გაკეთების დროსწინა რაზმს. იერიშთან ერთად ჩვენმა არტილერიამ ძლიერი ცეცხლი დაუშინა მტრის სათადარიგო ჯარს. კრეისერი „ედგარტი“ და ორი მონიტორი, რომელიც შეიარაღებული იყვენ 14 დიუმიან ზარბაზნებით, ეხმარებოდა არტილერიას სროლის დროს, ვიდრე მოხსენება არ მოვიდა პოზიციების გამაგრების შესახებ. ოსმალთა ბატარეია გვიპასუხებდა, მაგრამ რადგანაც უმიზნოთ ისროდა, მცირე ზარალი მოგვაყენა. მეზობელ თხრილებში მყოფს ოსმალთა ჯარს, რომელმაც სროლა დგვიტეხა, აგრეთვე დაეუშინეთ ყუმბარები, რამაც დიდი ზარალი მიაყენა. მტერი შეეცადა კონტრიერიშზე გადასვლას, მაგრამ ცდამ უნაყოთ ჩაუარა. ამოსწყდა 70 ოსმალომდი. დაჭრილთა და ტყვეთა რიცხვი 30 კაცზე მეტია.

ცეტინიე. 4 ნოემბერი პრესბიუროს იუწყება, რომ 3 ნოემბერს ჩვენი სანჯაკის ჯარი, რომელზეც მტრის მრავალრიცხოვანმა ძალამ იერიში მოიტანა. იძულებული გახდა თავის უმთავრეს პოზიციებისკენ დაეხია. დრინაზე ძლიერი ქარბუქი ხელს უშლის სამხედრო ოპერაციებს. მთელს ფრონტზე საartილერიო ბრძოლაა.

რომი. 5 ნოემბერი, მთავარი ბინის ცნობა. დამატებითი ცნობა. გორიცას ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მთების პატარა ვაკეში შეტევითი ოპერაცია შესამნევათ გააფართოვა. იმის შემდეგ, როცა გამოირკვა, თუ როგორი და რამდენი სიმაგრე ჰქონდა მოპირდაპირეს, ჩვენმა ჯარმა მეტოდიურათ დაიწყო იერიშების მიტანა და აჩერებდა მტერს მცირე რაზმებით ფრონტზე, ხოლო ამავე დროს ჩვენმა დანარჩენმა რაზმებმა ვაკის ჩრიდან შემოუტიეს იმ მიზნით, რომ გარს შემოერტყმოდენ მას. ჩვენ ქვეითა ჯარს იერიშების დროს ეხმარებოდა არტილერია. ამ გვარი მდგომარეობა გაგძელდა 31 ოკ. 4 ნოემბრამდი, მიუხედავათ ცუდი ამინდისა. 4 ნოემბერს გარს შემოსავლელათ წამოსული რაზმი ქალის შესავალთან შეუერთდა ჩვენს რაზმს. ამ გვარათ მტერი შუა გულში მოიმწყვდა და მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა სიკვდილს, რომელმაც თავს უშველა თხრილებს შუა შემაერთებელი ხვრელებით. დანარჩენი ზოგი დაიხოცა, ზოგიც ტყვეთ დაგვრჩა. ბრძოლის ველზე ჩვენ დავითვალეთ 208 მოკლული, მათ რიცხვში 20 აფიცერი. დაგვრჩა ჯერ ჯერობით 300 თოფი, რამდენიმე გატეხილი ყუმბარა და ბევრი სამხედრო დავლა. გუშინ გორიცის ხაზზე მტრის არტილერია მძლავრათ მოქმედებდა. ქალაქის შესავალთან ჩვენ შევნიშნეთ მტრის კალონები, რომელიც იზინცოს ხიდზე გადიოდა და მიემართებოდენ სპოტინოს მაღლობისაკენ. ჩვენმა მზვერავებმა შენიშნეს აგრეთვე მაღლობზე დადგმული ბატარეია.

სასამართლო.

(ქამაროვის საქმე)

(გაგრძელება იხილე № 217.)

უკანასკნელათ ილაპარაკა ნაფიცმა ვექილმა **ალ. საყვარელიძემ.**

დამცველი საქმის იურიდიულ ხასიათს არკვევს. იგი ამბობს: იმ შემთხვევაშიც კი რომ დამტკიცდეს ქამაროვის გრალდება, რომ გამოირკვეს მისი დანაშაული, გრალდებულის დასჯა შეუძლებელია, რადგან ქამაროვი მეორე ხარისხის მოყვარეა ხითაროვის, რომლის ბოროტმოქმედების დაფარვა გრალდება მას. ქამაროვი და ხითაროვი ქვისლები არიან. მომქმედი სისხლის სამართლის კანონების 128 მუხლის ძალით სასჯელისაგან გათავისუფლებული არიან მეორე ხარისხის მოყვრები. სცდება ბ. გრალმდებელი, როცა ამტკიცებს, რომ ეს მუხლი შეეხება მარტო ბოროტმოქმედების დამფარველს, თავის უკანასკნელ გადაწყვეტილებაში 82 ნ. № 25 ხორავას საქმის გამო, სენატმა სცნო, რომ 128 მუხლი ეხება, როგორც ბოროტმოქმედს, ისე მის მიერ ჩადენილს ბოროტმოქმედებას. სენატის განმარტება მელნიკის საქმის შესახებ, მხოლოდ იმათ დასჯას მოითხოვს, რომელნიც მოქმედებდენ არა ნათესავური გრძნობის და ერთგულების გამო, არამედ ახორციელებდენ თავის საანგარო მისწრაფებათ.

ხოლო ჩვენ აქ არავისგან გაგვიგონია, რომ ქამაროვს ამ შემთხვევაში ანგარება ამოქმედებდაო. დამცველი საქმის ფაქტიურ მხარეზე გადადის: ჩემმა ამხანაგებმა მრავლად წამოაყენეს ისეთი მოსაზრებანი, რომელნიც გრალდებას სავსებით ამსხვრევენ. ჩემის მხრით საჭიროდ მიმაჩნია შემდეგზე მიგითითოთ.

რაკი გრალმდებელს საშუალება არ აქვს მოსპოს ის ფაქტი, რომ ქამაროვმა ხითაროვისგან მიღებული 15000 მანეთი თავის სავაჭრო წიგნებში შეიტანა, ის ღა დარჩენია სადავოდ, რომ ეს ქმნა მაშინ, როდესაც ხითაროვის მდგომარეობა საშიში ალარ იყო და ხითაროვს გრალი ალარ ედგებოდაო. ასეთი დასკვნა კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ დოკუმენტებს, რომელიც საქმეშია მოქცეული. თვით გრალდება ამტკიცებს, რომ წიგნებში ჩაწერილია 15,000 მანეთის მიღება არა უგვიანეს წელიწად ნახევარისა მისი მიღების შემდეგ, ესე იგი, არა უგვიანეს 1907 წლისა. ხოლო მთელი ტომი, რომელიც ახლა თქვენ წინ ძევს, ბატონო მოსამართლენო, ამტკიცებს იმას, რომ ხითაროვის შესახებ გამოძიება სწარმოებდა 1906 წლიდან დაწყებული 1910 წლამდი. მაშასადამე, მხოლოდ 1910 წელს გამორკვეულა, რომ ხითაროვის მდგომარეობა უხიფათოა... მანამდი კი, როგორც მისი პირდაპირი უფროსები, ისე გამომძიებელი ხითაროვის წინააღმდეგ ენერგიულ გამოძიებას აწარმოებდენ.

ამას შემდგ შეიძლება დაუჯეროთ გრალმდებელს მტკიცებას, რომ ქამაროვმა მაშინ შეიტანა თავის სავაჭრო წიგნებში ხითაროვისაგან მიღებული 15,000 მანეთი, როცა ეს უკანასკნელი უშიშარ მდგომარეობაში იყოვო.

ამას გარდა საქმეში არის მრავალი ობიექტიური ფაქტი, რომელსაც არ იხსენიებს არც გრალმდებელი და არც საოლქო სასამართლო, რადგან გრალდებისათვის ხელსაყრელი არ არის. აქ დამცველი უთითებს მრავალ ოფიციალურ საბუთებზე, საიდანაც ირკვევა, რომ ქაროვი სხვადასხვა ბანკების საშუალებით და ფოშტით უგზავნიდა ხითაროვს ფულს 1907, 1908, 1909 წელს, უგზავნიდა იქ, სადაც მის შესახებ გამოძიება სწარმოებდა. ამასთანავე სავსებით აწერდა როგორც თავის სახელსა და გვარს, ისე ხითაროვისას.

ბუნებრივი არაა დავსკვნათ, რომ ქამაროვი, თუ კი მას დანაშაულობა ქონდა გულში, ეცდებოდა ყოველივე საეჭვო მოქმედებისთვის მხარი აეარა და არ ჩაედინა ისეთი რამე, რაც მას და მის მოყვარეს დაღუპავდა. აქ კი ვხედავთ თითქოს ის განგებ ცდილობდა ოფიციალურად გამოექვეყნებია გამოძიების დროს, რომ იმას მოპარული ფული აქვს და უგზანის დოუფარავათ დამნაშავეს.

ქამაროვის ბრძანებით სავაჭრო წიგნები მაღაზიაში გაბნეული იყო, ფურცლები ამოგლეჯილი, და ციფრები გადასწორებულიო, ბრძანებს პროკურორი. უნდა ვსთქვა, რომ არც ეს დებულება შეეფერება სიმართლეს. გამომძიებელი, პროკურორის ამხანაგი და მაძებარი პოლიციის უფროსი ქამაროვთან მივიდენ სახლში რომელიც კარგ მანძილზეა დაშორებული მაღაზიიდან. ქამაროვი სახლში დაუხვდათ, მას განუცხადეს, რომ ისინი ეძებენ იმ წიგნს, რომელიც ხითაროვისაგან მიღებულ ფულს შეეხება. ეს ამბავი გაუგებელი არ დარჩებოდათ, რასაკვირველია, ქამაროვის ოჯახობას, მის მეზობლებს, ცხადია, გაიგეს ყოველივე მოსამსახურეებმაც. როცა სახლში ჩხრეკა გათავდა და ოქმი შეადგინეს, ქამაროვი წაიყვანეს და წავიდენ მაღაზიაში. იქაც დაიწყეს ჩხრეკა, რომლის დროსაც არც ქამაროვს და არც სხვებს ნებას არ აძლევენ არც რაიმე განკარგულების მიცემას და არც სადმე გასვლას. მაღაზიაში ალმოაჩინეს გაბნეული აქეთ იქით წიგნები, ფურცლები ამოხეული და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა ახლად გადასწორებული ციფრები.

ყოველივე ეს ნათლად ამტკიცებს, რომ ქამაროვი გამომძიებელის, პროკურორის და მაძებარი პოლიციის უფროსის თანდასწრებით ვერავითარ განკარგულებას ვერ გასცემდა, ვერც თვითონ გადაასწორებდა ციფრებს.

ცხადია, როცა მოსამსახურეებმა გაიგეს, რომ გამომძიებელი ხითაროვის საქმეზეა მოსული, იმ ხითაროვის საქმეზე, რომელიც დასჯილია სხვა საქმის გამო, მასთან გაიგეს ისიც, რომ გამოძიება დიდმნიშვნელობას აქცევს წერილობით ცნობებს შესახებ ხითაროვისა.

იფიქრეს, რომ ხითაროვისაგან მიღებული ფულის დავთარში აღნიშნულობა ცუდს საქმეში გააბამს უდანაშაულო ქამაროვს და ამიტომ ციფრები გადაასწორეს, ფურცლები ამოხიეს და წიგნები აქეთ-იქით გაბნიეს, სანამდი ბინას გაჩხრეკდენ და მაღაზიაში მივიდოდენ.

ბ. მოსამართლენო, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც ქამაროვს თავს აწევს საშინელი ბრალდება. ახლა სასწორზეა დადებული მისი კეთილი სახელი, მისი თავისუფლება, მისი ოჯახის ბედი და ის ავლა-დიდება, რომელიც მრავალწელთა განმავლობაში პატიოსანის შრომით შეუძენია. ნუთუ დრო არ არის დახმარების ხელი გაუწოდოთ მას, და მოვაშოროთ იმ სამარცხვინო სკამს, რომელზეც მიჯაჭვულია იგი სრულიად უსამართლოდ.

ვასუხი.

(ბათლომე ყუფარაძეს)

ჩემს წერილს ეუფრაძე ძრიელ გაუწაწალებია, — და უგზო უკვლოთ მოდებია ანდა უბდას. ბ. ბათლომე! მე კიდევ იქ ვარ, სადაც თქვენს მოდვაწეობას ოდესვ შევეხები, ახლა — კი მეტსაც ვიტყვი. თქვენ გამართდების საშვალებაო ბიხმარიათ სრული სიტრუე და მასთან პირადობის გაოელვა, რომელიც უფრო თქვენი ავდა-დიდების დამახასიათებელია, ვინაიდან ეოკასაშინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების, მხოლოდ სამწუხაროთ რედაქტია და მკითხველი შეტდომაში შეგეყვანს.

თქვენ ამბობთ: ოთხი წელიწადია ბანკი სწარმოებს და მისი მაგნებლობა არავის გაუგონიაო. ეს სიმართლე არ არის. თქვენი მოქმედება არა ერთჯერ იყო გაზეთის ფურცლებზე ადნაშნული. უკანასკნელ კრებაზე თვით ბ. ინსპექტორმა გამოიძია თქვენი უმართებულო მოქმედება თქვენს დაუდევრობას მიაწერა და დაგმობით დაგაჯილდოვათ. დაგავიწყდათ განა, რომ რაოდენ კოპლეიშვილს სამი თუმანი არ ეთხოვე ხარის საყიდლათ და ზესტაფონიდან — დს ქალიშვილის სამზითვოთ ხუთასი მანეთი გაატანე? დაგავიწყდა 2000 მანეთი სამტრედიის ბანკში გქონდათ აქ სარგებლობდენ, ჩვენ კი მოუთმენლათ ველოდით, ფული არ გვქონდა და ბანკმა თქვენი უმოქმედობით თუთხმეტ თუმნამდე იზარალა? დაგავიწყდა განა, რომ სესხს აძლევდი მეკახტეებს. ჯაჭრებს. გაჭიგრებულებს, — კი უარით ისტუმრებდი!

არ გაწიოკებდი, — ამბობთ. მაშ რა იყო კოხრეიძეებმა ვადა გთხოვეს, შენ ვექსიდი არ გამოუცვალე და 800 მანეთიანი სახლი 400 მანეთად გაუყიდვინე, მაშინ როდესაც შეძლებულ პირებს და მახლობლებს ვექსიდები გადუწერე; თვით შენ რიდის შეიტანე ფული ბანკში, განა ვექსიდის გადაწერით არ სარგებლობ? მეკითხებით „სად არის 17 ათასი მანათი“ გეტყვით იქ, სადაც თქვენ ინებებდით მისესხებას. (გაიხსენეთ ვენახის სესხი) 400 კოდოფი თესლი გამოიწერეთ თქვენ ხარჯები ცალკე დასადვეთ, მერმე რჩეული წყვრთ გადაეცით მოსაგებათ, როდესაც სხვაგან იაფათ იშოვნებოდა. სად იყო თქვენი საშუალება — დახმარება! „შაბათმნისათვის 137 მანეთი შეაგროვა ჯვარშეიშვილმა და რუხაძემ, შენ ისინი სწორ გზას ააშორე და ცრიელ გზაზე დასტოვეთ“ ესეც ფაქტის დამახინჯებაა:

ჯვარშეიშვილმა და სხვამ გთხოვეს შაბათმნის გამოწერა ბანკის საშუალებით, მაგრამ შენ, როგორც ჩვეულებათ გაქვს, წინდაწინ ხარჯები მოსთხოვეთ და ვერ გაბედეს. ამის შემდეგ მე მოგიხოვეს, როგორც ბათომში მოდის, გამეგო შაბათმნის ფასი. ბათომის სამეურნეო კომბინატმ მოწმობა მომთხოვა და ფული 5 მ. 50 კ., დამიფასა ხსენებულმა პირებმა დროზე მოწმობა ვერ აიღეს და დაგვიანების გამო საწყობმა შაბათმანი გაჭვიდა. რა ოქმა უნდა მიზეზი თქვენი უმოქმედობა გახდა და არა ჩემი, რომელსაც კარდა ფასის გაგებისა არავითარი დაგალება არ მქონია.

სამკითხველოს შესახებ ბრძანებთ, თითქოს დამფუძნებელი წევრიც ბოლოდაო და სამეც გამოწყობილი; რად ამბობთ ამდენ ტყუილს? რიდის გქონდა კრება სამკითხველოს შესახებ, სადან რადრიოს ჩასწერეთ დამფუძნებელი წევრები? ეკლესიის კალავანში, რომ 11 მ. შაბაროვეთ და ბანკში ინახება იმას ხომ არ ეძახით დამფუძნებელ სწევრო ფულს?

მეკითხებით სად არის ის ათი მანათი, რომელიც დედაშენის გასვენების დღეს სამკითხველოს შემოსწირეთო? მე დედაჩემის გასვენების დღეს ათი მანათი ადუოქვი საზოგადოების მომავალ სამკითხველოს, მინდოდა წესათ შემოედოთ ჩვენში ასეთი წვდილის გამოდება ქალებისა და უბრალო ხარჯების მაგიერ და შემოიდეს კიდევაც, მაგრამ ერთი მითხარი რა გაკეთეთ ჯერ შეუგროვიდი ფული, რომ ჩემი ფული დაგეჭარდათ? რიდის დაიწყეთ საქმე, მომკითხეთ და უარი გითხარით? თუ ისე გინდოდათ როგორც ორ ორი აბაზი შეკრიბეთ და გაქრა; ან და ფარნის ფული შეაგროვეთ და დღესაც არა სჩანს სად არის? კოოპერატიულ სავაჭროს გახსნა თურმე იმიტომ ვერ გაგიბედნია, რომ ვითომ მე შეეწინააღმდეგები. ეს კი კეტო რადა მე მაქენებდი კოოპერაციაში შენისთანა გამოტდიდი, რა კორტ კომის კოოპერაციის ამშენებელი, ჩაუდგებოდი სათავეში და ავაშენებდი ინუთს.

თქვენი სიტყვით ეწრის საზოგადოებაში საჭირო პირები არ მოიპოვებიან, ტყვილია, ჩვენზე კარგი გამოტდიდი პირები მოიპოვებიან და საქმეც კარგად წავიდოდა, რომ თქვენ საკითხი აღგეძრა, მაგრამ, არა, თქვენი საქმე ისეა, როგორც ნათქვამია: „წაღწადებული ხავს ეგზიდებოდაო“, თქვენ კოოპერატიის დაარსება ინუთში იმიტომ არ გინდოდათ, რომ შენს ძმას სუდის მდაფავი და ხალხის მეგლეფელი საწვიდანო დუქანი აქო და, რომელიც ეხლა შენს ხელშია (განზინით არ გაქვთ უფლება ვაჭრობისა, რადგან ბანკი და საოვაჭრო ერთი კაცის ხელში არ შეიძლება) გეშინოდა და დღესაც გეშინია დუქნის გაუქმების, თორემ ხალხს სურვიდიც აქვს და ბასუხის მგებელი პირებიც ეშოვნებათ. რა სამართლე გაქვს ინსპექტორის ბ. ჯაფარიძის რჩევით ბანკის საშუალებით 60 კაცმა ჩაგეწერეთ სამტრედიის კოოპერატივში მონაწილეო, ჩასწერათ თქვენ სია უნდა წაგერდგინათ, რამდენიმე კაცი დაგესწრათ კრებას და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც შენ სია დახიე და ჩვენ არ წაგვარდგინე. მიზეზათ ის დაგვისახე, რომ „ისეთი პირები დანიშნეს გამგეობაში, რომ ხალხს შესწამენო“, ნამდვილად კი გამოირკვა, რომ შენ ნოქრის ადგილი გეთხოვნა, ჯამაგირათ ხუთი თუმანი თვეში და რადგან უარი გითხრეს, იმიტომ ჩაგვიფუშე საქმე. რაც შეეხება ჩემს გაშაგებას, სიტრეა. მე კი არ გამაშაგეს დადაგ მესო, არამედ შენ და შენი კომპანია, მერმე ეცადე არჩევანის დაშლას და როგორც ამბობდენ ძმის დახმარებით დაშალე კიდეც. მესამე კრებაზე მეოთხედი ხალხი არ მოგიწვევია. ბ. ინსპექტორმა გამოიძია თქვენი მოქმედება, დაგმო და გაგაშავათ კიდეც. თქვენს სირცხვილს რომ სიწითდე ქონდა, ინუთის ბანკში კი არა ქუთაისის გუბერნიაში არ მოიტდიდით.

ი. ხეთერელი.

გერმანეთში მყოფ ტყვეებულებისა ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ ტყვეებულებს გაუგზავნოს ფული — ანი სხვა რამ ამანათი, ან შეტყობინება, უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Généve.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50 წ.
„	— ღამის	—11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

როგორც ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით — რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდკალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წერილათ, აგრეთვე **ნარდათ.**

სწორაფლბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა — ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურის აგან